ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/ე233-16

"29" 02 2016 წ.

დადგენილება №000349
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

29.02.2016წ.

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაქელმა განვიხილე 2016 წლის 29 თებერვლის №000349 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", ბ/მ ამხანაგობა **"ახალი დიღომი"**-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №202389156, თავმჯდომარე მაია რჩეულიშვილი (პირადი №01017003383), მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტ. მიმდებარედ, ნაკვეთი №25/29, საკ. კოდი №01.10.10.025.029) მიმართ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზ. №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტ. მიმდებარედ, ნაკვეთი №25/29, საკ. კოდი №01.10.10.025.029-ში ბ/მ ამხანაგობა "ახალი დიღომი"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1495804 AR1236565 17.09.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: პროექტში არ არის ნახვენები მოხოლითური და ბლოკის კედლების ფაქტიური სხვაობა. შიდა სივრცეში კოლონების ნაცვლად ნაწილობრივ მოწყობილია მოხოლითური კედლები. ასევე დამატებით მოწყობილია რიგელები. სამკუთხა ფორმის აივნებზე დამატებულია ლითონის დამჭერი სვეტები. -8.40 ნიშნულზე „გ-დ" მონაკვეთში 7-7" ღერძთან, კიბესთან მოწყობილი მოხოლითური კედელი გაზრდილია სიგრძეში. -4.20 ნიშნულზე შემცირებულია სართულის სიმაღლე. +49.50 ნიშნულზე ლიფტის სამანქანოს დონე აწეულია და შეცვლილია სახურავის ფორმა და ფართი. „6-7" და „დ-ე" მონაკვეთში არ არის მოწყობილი შიდა კიბე. ასევე +52.80 ნიშნულზე ნაწილობრივ გაუქმებულია აივნები და შეცვლილია ფორმა. „1-8" ფასადი: „1-3" მონაკვეთში გაზრდილია აივნების გაბარიტები. „7-8" მონაკვეთში ვიტრაჟები „7-7" ღერძთან გაზრდილია სიმაღლეში. -8.40 ნიშნულზე კედელი „2-2" ღერძზე გაზრდილია 0.20მ-ით. +39.60 ნიშნულზე „1-3" მონაკვეთში ტერასაზე დამატებით მოწყობილია კოლონები და შეცვლილია ფართი. ამავე მონაკვეთში +42.90 ნიშნულზე მცირედით შეცვლილია ტერასის ფართი. ხოლო „4-4" ღერძთან ფანჯარა გაუქმებულია. +46.20 ნიშნულზე „1-2" მონაკვეთში აივნის ნაცვლად მოწყობილია შიდა ფართი და ფასადის კედელზე ნაწილი ფანჯრის ღიობი. „2-4" მონაკვეთში შეცვლილია აივნის ფორმა და გაზრდილია ფართი. „4-7"

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396